

რეკომენდაცია

2015 წლის 12 თებერვალს გამართულ ღონისძიებაზე სპორტის სასახლის შენობის არასათანადო ადაპტირების გამო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო მ.,

2015 წლის 12 თებერვალს, თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამო. აღნიშნული საიუბილეო საღამოს ბილეთები შეძენილი ჰქონდათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში შშმ) პირებსაც, რომელთაც, შენობის არასათანადო ადაპტირების გამო, არ მიეცათ საშუალება დასწრებოდნენ ზემოხსენებულ ღონისძიებას.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან გამოიკვეთა შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით პირთა სავარაუდო დისკრიმინაცია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახალხო დამცველმა 2015 წლის 13 თებერვალს თავისი ინიციატივით დაიწყო აღნიშნული ფაქტის შესწავლა.

სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, რომ მ. დ. ვერ დაესწრო 12 თებერვალს გამართულ ღონისძიებას. მ. დ.-მ თანხმობა განაცხადა საქმის განხილვის პროცესში მონაწილეობაზე. მისი დახმარებით სახალხო დამცველის აპარატმა მოიძია იმ პირების საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებმაც სივრცის არასათანადო ადაპტირების გამო დატოვეს შენობა. სახალხო დამცველის აპარატის მცდელობის მიუხედავად, მათთან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა. შესაბამისად, ქვემოთ მოცემული

რეკომენდაცია არის განხილული მხოლოდ მ. დ-ს კონტექსტში, თუმცა ეს არ გამოორიხავს, რომ სხვა შშმ პირებიც გახდნენ სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლნი.

2015 წლის 27 თებერვალს ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა მოითხოვა ამ საქმეში მესამე პირად ჩართვა. სახალხო დამცველმა, სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლის, მ. დ-ს, თანხმობით ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი საქმეში ჩართო მესამე პირად 2015 წლის 11 მარტს. 2015 წლის 5 ივნისს ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა წარმოადგინა განსახილველ საქმესთან და მისთვის გაგზავნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით სამართლებრივი მოსაზრება, რომელიც ნაწილობრივ იქნა გაზიარებული საქართველოს სახალხო დამცველის მიერ.

1. ფაქტობრივი გარემოებები

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს სპორტის სასახლე, გამოკითხეს დისკრიმინაციის მსხვერპლი - მ. დ. და შპს „სპორტის სასახლის“ წარმომადგენელი - მ. ე, გამოითხოვეს წერილობითი დასაბუთება მომხდარ ფაქტობრივ გარემოებებზე შპს სპორტის სასახლიდან და შპს „არტკალასიდან“. მიღებული ინფორმაციიდან დადგინდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ბატონი მ. დ-ს 2015 წლის 17 თებერვლის, გამოკითხვით ცნობილი გახდა, რომ მას შეძენილი ჰქონდა პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამოს ბილეთები. იგი სხვა დროსაც დასწრებია ღონისძიებას და იცოდა, რომ სპორტის სასახლეში ეტლით გადაადგილება შესაძლებელი იყო. 2015 წლის 12 თებერვალს, მას და სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, იმ შესასვლელთან საიდანაც მათი გადაადგილება ხდებოდა ხოლმე, კედელი დახვდათ აღმართული. გადაადგილება დაცვის წევრების დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო. მათ ვერ შეძლეს დამოუკიდებლად დარბაზამდე მისვლა და საჭიროების შემთხვევაში დაცვის წევრების დახმარების გარეშე დარბაზს ვერ დატოვებდნენ.

შპს „არტკალასის“ 2015 წლის 6 მარტის წერილისა და დანართის თანახმად, შპს „არტკალასს“ შპს „სპორტის სასახლე თბილისის“ (შემდგომში სპორტის სასახლე) შენობა გადაეცა იჯარის ხელშეკრულებით.

შპს „არტპალასმა“ 2015 წლის 17 მარტის წერილით განმარტა, რომ მას სპორტის სასახლის შენობის დამატებით აღჭურვა პანდუსებით არ მოუთხოვია.

2015 წლის 18 მაისს თბილისის სპორტის სასახლის დირექტორის მოადგილის მ. ე-ს გამოკითხვით ცნობილი გახდა, რომ შპს „სპორტის სასახლე“, იჯარის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, შენობას გადასცემს მხარეს და არ ერევა ორგანიზატორის მიერ ინფრასტრუქტურის მოწყობაში, თუ ორგანიზატორი არ აზიანებს შენობას. სხვა ღონისძიებების დროს შპს პირებს არ შექმნიათ სპორტის სასახლეში შეღწევის პრობლემა. განსახილველ შემთხვევაში წარმოშობილი პრობლემა სპორტის სასახლის წარმომადგენელმა ახსნა პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამოზე მოსული ხალხის სიმრავლით და სპორტის სასახლის შიდა მოწყობის ცვლილებით. კერძოდ, პირველ სართულზე, დარბაზში შესასვლელ კიბეზე არსებობდა ხის პანდუსი, რომელსაც ფუნქცია დაეკარგა, რადგან ორგანიზატორების მიერ იქ განთავსებული კედლის კონსტრუქციამ პანდუსთან მისასვლელი გზა გადაკეტა. შპს „სპორტის სასახლის“ 2015 წლის 18 მაისის წერილის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, სპორტის სასახლეს შეეძლო მთელ შენობაში პანდუსების დაყენება და ამის პრაქტიკაც ყოფილა სხვა ღონისძიებების დროს, მაგალითად, ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტის ფედერაციამ“ ჩაატარა „პარა კალათბურთის საჩვენებელი მატჩი“ და ორგანიზატორის მოთხოვნისამებრ სპორტის სასახლის ადმინისტრაციამ უზრუნველყო დამატებითი აღჭურვილობის დამონტაჟება. სპორტის სასახლეს აქვს პანდუსები, რომელიც დამზადებულია ხის მასალისგან, თუმცა ჰქონიათ შემთხვევა, როდესაც დამჭირავებლის მოთხოვნის საფუძველზე უქირავებიან და დაუმონტაჟებიათ რკინის პანდუსებიც.

შპს „არტპალასმა“ 2015 წლის 6 მარტის წერილით გვაცნობა, რომ საიუბილეო საღამოსთვის საგანგებოდ ააშენა სრულიად ახალი სცენა, დაამონტაჟა მონიტორები, სპეციფიკური განათების პულტები, აუდიო აპარატურა, რასაც დიდი ფინანსური და ადამიანური რესურსი მოხმარდა;

მ. დ-ს 2015 წლის 17 თებერვლის გამოკითხვიდან ცნობილი გახდა, რომ შპს პირები სპორტის სასახლეში გამართულ ღონისძიებას თუ ესწრებიან, ისინი იმყოფებიან დარბაზის ცენტრში, სცენასთან. საიუბილეო საღამოს სცენის კონსტრუქცია იყო დიდი და დარბაზში შპს პირთა ყოფნა და გადაადგილება შეუძლებელი იყო სცენის ფართობის გამო;

2015 წლის 18 მაისს სპორტის სასახლის დათვალიერებით დადგინდა, რომ შენობაში დაწყებულია სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რათა მოხდეს შესასვლელების, საპირფარეშოების, დარბაზის ადაპტირება შშმ პირთათვის;

შპს „არტპალასმა“ 2015 წლის 17 მარტის წერილით განაცხადა, რომ მათ არ მოსთხოვეს სპორტის სასახლის წარმომადგენლებს შენობის ადაპტირება, რადგან მიიჩნიეს რომ ვითარება ნათელი უნდა ყოფილიყო სპორტის სასახლის ხელმძღვანელობისთვის, კერძოდ, შპს „არტპალასის“ განცხადებით, სპორტის სასახლის წარმომადგენლებმა იცოდნენ რომ საღამოს ათასზე მეტი მაყურებელი უნდა დასწრებოდა, რომელთა შორის სავარაუდოდ იქნებოდნენ შშმ პირები, და თუ სპორტის სასახლეს შეეძლო და იყო კიდევ პასუხისმგებელი უზრუნველყო ადაპტირებული გარემო.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი დებულებები

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

იმავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

დასახელებული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება *საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.*

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდანაც. ევროპის სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლის ქვეშ, აუცილებელია, რომ *განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.* განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას *არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, ე.ი. არ ისახავს კანონიერ მიზანს* და არ არსებობს *პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.*¹

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანხმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის

¹ Eweida and others v. United Kingdom, app. nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; Burden v. United Kingdom, app. nos: 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, § 60;

შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

2.2. კანონით გათვალისწინებული უფლებები რომელთა სარგებლობაში ხელი შეეშალა სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლს

საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან დგინდება, რომ შენობის არასათანადო ადაპტირების გამო, მ. დ-მ ვერ შეძლო გადაადგილება და ვერ დაესწრო საიუბილეო საღამოს.

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს, მასზე თანაბარი წვდომის (ხელმისაწვდომობის) გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან.²

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის თანახმად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. პიროვნების უფლებაა მისი შეხედულებით ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დამოკიდებულება და კავშირი გარე სამყაროსთან.³

ევროპის სოციალური ქარტიის მე-15 მუხლის მე-3 ნაწილით და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის 30-ე მუხლით, საქართველოს სახელმწიფომ აღიარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კულტურულ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად ცხოვრებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, გაუმართლებელია მე-8 მუხლის ვიწროდ განმარტება და იმის დაშვება, რომ ეს მუხლი მოიცავს პირის

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/539, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება #1/3/534 საქმეზე “საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II, 3;

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.4;

ურთიერთობის მხოლოდ შიდა წრეს და გამორიცხავს მთელი სამყაროს ჩართულობას ამ სფეროში.⁴ სასამართლომ განმარტა, რომ პირადი ცხოვრების პატივისცემა მოიცავს პიროვნების თავისუფალ განვითარებას და უფლებას დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობები საზოგადოების წევრებთან.⁵ შესაბამისად, გამომდინარეობს, რომ პირის სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, თუნდაც საჯარო კონტექსტში, შეიძლება განხილულ იქნას პირადი ცხოვრების სფეროს ნაწილად.⁶ მე-8 მუხლი ფარავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირი ვერ შეძლებს შეაღწიოს საჯარო შენობაში მისი არასათანადო ადაპტირების გამო, ვინაიდან ეს ფაქტი ერევა პირის თავისუფალი განვითარების უფლებაში და უფლებაში დაამყაროს კონტაქტი სხვა ადამიანებთან.⁷

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის გამო, ნებისმიერი პიროვნების დისკრიმინაცია არის ადამიანის თანდაყოლილი და განუყოფელი ღირსების დარღვევა.⁸ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განმარტა, რომ თუ შენობის არასათანადო ადაპტირების გამო პირი ვერ შეძლებს შენობის გამოყენებას, როდესაც ამ პირს სურს ჰქონდეს აქტიური ცხოვრება, ამან შესაძლოა წარმოშვას პირის დამცირება და ტანჯვა, რამაც უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს მის პირად ცხოვრებაზე.⁹ სასამართლოს განმარტებით, კონვენციის არსს წარმოადგენს ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების პატივისცემა, რომელიც გამოიხატება პირადი ცხოვრების ხარისხში.¹⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, ყველა სხვა უფლების მსგავსად, ადამიანის ღირსების

⁴ Niemietz v. Germany, app. no. 13710/88, 16/12/1992, § 29;

⁵ P.G. and J.H. v. the United Kingdom, app. no. 44787/98, 25/12/2001, § 56; Peck v. The United Kingdom, app. no. 44647/98, 28/04/2003, § 57;

⁶ P.G. and J.H. v. the United Kingdom, app. no. 44787/98, 25/12/2001, § 56;

⁷ Pretty v. the United Kingdom, app. no. 2346/02, 29/07/2002, § 61; Zehnal v. The Czech Republic, app. no. 38621/97, 14/05/2002;

⁸ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია, პრეამბულა, h ქვეპუნქტი;

⁹ Molka v. Poland, app. no. 56550/00, 11/04/2006;

¹⁰ Pretty v. the United Kingdom, app. no. 2346/02, 29/07/2002, § 65;

გამოხატულება.¹¹ კონსტიტუციის მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი თავისუფალი და სხვა ადამიანების **თანასწორი** სუბიექტი.¹²

განსახილველ შემთხვევაში, სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლისთვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაზე პირდაპირ უარი არ უთქვამთ და მან თავად დატოვა დარბაზი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უფლებით სარგებლობაში ხელშეშლას არ ჰქონია ადგილი. ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ ღონისძიებაზე დასწრების **რეალური შესაძლებლობა** მსხვერპლს არ მისცემია. მ. დ-ს არ ჰქონდა დამოუკიდებლად გადაადგილების და ღირსეულ პირობებში კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება, რადგან სადამოუკიდებლად დარჩენის შემთხვევაში მას მუდმივად დასჭირდებოდა დაცვის წევრის დახმარება, რომელიც მას ხელით გადაიყვანდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მ. დ-ს ხელი შეეშალა ღირსეულად ესარგებლა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, ევროპის სოციალური ქარტიის მე-15 მუხლის მე-3 ნაწილით და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის 30-ე მუხლით.

2.3. განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ თანაბარი მოპყრობა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იმის დასადგენად, მოხდა თუ არა დისკრიმინაცია, ასევე უნდა განისაზღვროს ადგილი ჰქონდა თუ არა ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნით, პირის არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, თუ მოხდა არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფი პირების თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება.

განსახილველ შემთხვევაში, მ. დ. ზემოთ აღნიშნული უფლებებით სარგებლობის დროს არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა მისი შეზღუდული

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.2;

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.პ.30;

შესაძლებლობის გამო. აღნიშნული კი, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონით გათვალისწინებული აკრძალული ნიშანია.

ზემოაღნიშნული კანონის მსგავსად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებითაც, დისკრიმინაციას ასევე წარმოადგენს, თუ არ ხდება იმ პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა რომელთა მდგომარეობაც არსებითად განსხვავებულია და არ არსებობს ობიექტური და გონივრული გამართლება.¹³ აღნიშნული სტანდარტი გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში, სადაც განიხილებოდა შშმ პირის მიმართ დისკრიმინაციის საკითხი, რადგან ჩათვალა რომ შშმ პირები იმყოფებიან განსხვავებულ მდგომარეობაში და მათ სჭირდებათ განსხვავებული მოპყრობა.¹⁴

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, კონვენციის პრინციპია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა **განსხვავებულობისადმი** პატივისცემა და მათი **აღიარება** ადამიანთა შორის არსებული **განსხვავებულობის შემადგენელ ნაწილად**. შესაბამისად, კონვენციით აღიარებულია, რომ შშმ პირები წარმოადგენენ განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ პირებს და საზოგადოება ვალდებულია პატივი სცეს ამ განსხვავებულობას.

მ. დ., რადგან ის სარგებლობდა ეტლით, წარმოადგენდა განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ პირს და საჭირო იყო მისდამი განსხვავებული მოპყრობა.

სპორტის სასახლის შენობაში არსებული პანდუსების დემონტაჟით, მოხდა თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში მყოფი პირებისა.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ სავარაუდო დისკრიმინაციის განმახორციელებელმა, თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფი პირები.

2.4. სავარაუდო დისკრიმინაციის ჩამდენი სუბიექტი

შპს „არტპალასსა“ და შპს „სპორტის სასახლეს“ შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება. შპს „არტპალასსა“ და მაყურებლებს შორის არსებობდა მომსახურების ხელშეკრულება. შპს „არტპალასი“ აცხადებს, რომ შენობის

¹³ Thlimmenos v. Greece, app. no. 34369/97, 06/04/2000, §44;

¹⁴ Pretty v. United Kingdom, app. no. 2346/02, 29/07/2002 §88;

ადაპტირებაზე პასუხისმგებელი იყო სპორტის სასახლე და რომ შპს „არტპალასს“ არ ჰქონდა ვალდებულება დამატებით მოეთხოვა პანდუსების დამონტაჟება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად დათქმულ დროსა და ადგილას. ვალდებულების ჯეროვანი შესრულება მოიცავს რამდენიმე მოთხოვნის დაცვის აუცილებლობას, რომელიც განსაზღვრავს, ვინ ვის წინაშე უნდა განახორციელოს შესრულება, რომელი საგნით, სად, როდის და რა გზით უნდა განხორციელდეს იგი.¹⁵

შპს სპორტის სასახლესა და მაყურებელს შორის არ დადებულია ხელშეკრულება, აქედან გამომდინარე მაყურებლების წინაშე სპორტის სასახლეს სახელშეკრულებო ვალდებულება არ ჰქონია. შესაბამისად, ივარაუდება, რომ შპს „არტპალასი“ სპორტის სასახლეს პასუხისმგებლობას მათ შორის დადებული იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე აკისრებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 532-ე, 535-ე მუხლის თანახმად, ნივთის თვისებები, ხელშეკრულებით უნდა იყოს დათქმული. თუ ხელშეკრულებით ეს თვისებები დათქმული არ არის, მაშინ ნივთის მდგომარეობა განისაზღვრება მისი დანიშნულებით, ან გამომდინარეობს ამ ნივთის მიზნობრივი დანიშნულებიდან, რისთვისაც მოცემული ნივთი ჩვეულებრივ გამოიყენება. ნივთი მიიჩნევა ნივთობრივად უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის.¹⁶

იჯარის ხელშეკრულების დადების მომენტში, გადაცემული შენობა იყო ნივთობრივად უნაკლო, რადგან ის ვარგისი იყო ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. კერძოდ, მართალია, შენობა სრულად არ შეესაბამებოდა ადაპტირების სტანდარტებს, თუმცა სპორტის სასახლეში შესვლა და სცენამდე მისვლა შესაძლებელი იყო შშმ პირებისათვის. თუ ორგანიზატორი შენობის ისე გადაკეთებას აპირებდა, რომ შენობა მიუწვდომელი გახდებოდა შშმ პირებისათვის, ორგანიზატორს უნდა მოეთხოვა დამატებითი ადაპტირების დამონტაჟება სპორტის სასახლისათვის.

¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება № 3კ-1133-02;

¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება №ას-811-764-2012; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება № ას-421-735-09;

შპს „არტპალასმა“ გვაცნობა, რომ საიუბილეო სადამოსთვის საგანგებოდ ააშენა სრულიად ახალი სცენა, დაამონტაჟა მონიტორები, სპეციფიკური განათების პულტები, აუდიოაპარატურა, რასაც დიდი ფინანსური და ადამიანური რესურსი მოხმარდა. მათ ხელშეკრულებით მოითხოვეს სპორტის სასახლისგან გათბობის უზრუნველყოფა, თუმცა პანდუსებით შენობის უზრუნველყოფის მოთხოვნა მათ არ დაუყენებიათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სპორტის სასახლე შშმ პირებისთვის მიუწვდომელი გახდა ორგანიზატორის მიერ ჩატარებული რეკონსტრუქციების შედეგად და შპს „არტპალასი“ წარმოადგენს სავარაუდო დისკრიმინაციის ჩამდენ სუბიექტს.

2.5. ლეგიტიმური მიზანი და თანაბარი მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთებულობის საკითხი

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კანონის შესაბამისად არსებითად განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი თანაბარი მოპყრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, მას აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის თანაზომიერია.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ მოპასუხე მხარემ უნდა ამტკიცოს ის, რომ დისკრიმინაციულ მოპყრობას არ ჰქონდა ადგილი, ან რომ დისკრიმინაციული მოპყრობა გამართლებული იყო, ე.ი. მას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის პროპორციული იყო.

მ. დ-ს მიერ წარდგენილი და სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ადგილი ჰქონდა განსხვავებულ პირობებში მყოფი პირების თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ა პუნქტის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია: თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს, შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას.

ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ დაწესებულების ვალდებულებაა არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ გარკვეული პოზიტიური ღონისძიებების განხორციელებაც, იმისათვის რომ დისკრიმინაციას არ ჰქონდეს ადგილი.

ზემოთ დადგენილი ფაქტებიდან გამომდინარეობს, რომ სპორტის სასახლემ შპს არტ პალასს გადასცა შენობა, რომელიც აძლევდა შშმ პირებს შენობაში შესვლისა და ღონისძიებაზე დასწრების შესაძლებლობას. შპს არტ პალასმა, განახორციელა რეკონსტრუქცია, რის გამოც არსებული პანდუსი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იყო სცენასთან მისვლა, გაუქმდა, აღიმართა კედელი და შიგნით მოეწყო კონცერტის მონაწილეთათვის ოთახი. იქ მისულ შშმ პირებს დაცვამ შესთავაზა სხვა გზით მისვლა, თუმცა ესეც შეუძლებელი აღმოჩნდა, ვინაიდან დიდი სცენის გამო, შშმ პირთათვის სხვა გზით გავლაც შეუძლებელი აღმოჩნდა.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ შპს არტ პალასის პასუხისმგებლობა გამოიხატება იმაში, რომ არსებული პანდუსი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იყო სცენასთან მისვლა, გააუქმეს და სცენის მოწყობისას არ გაითვალისწინეს შშმ პირებისთვის ადგილი. აღნიშნული რეკონსტრუქციული სამუშაოების შედეგად მათ თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენეს პირები, რომელთა სიტუაციაც განხვავებული იყო და განსხვავებულ მოპყრობას საჭიროებდა.

შპს „არტპალასს“ არ დაუსახელებია ის ლეგიტიმური მიზანი, რითაც გამართლდებოდა თანაბარი მოპყრობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ. ლეგიტიმური მიზნის არ არსებობის პირობებში კი, დისკრიმინაციული მოპყრობა გამართლებულად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ შპს „არტპალასმა“ ჩაიდინა პირდაპირი დისკრიმინაცია მ. დ-ს მიმართ, მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ მუხლით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს შპს „არტ პალასს“ შეიმუშავოს შიდა დოკუმენტი (დებულება/წესები/პრინციპები), რომლითაც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების დროს შშმ პირებისთვის მასში ღირსეულად მონაწილეობის ხელშეწყობის პრინციპები.

გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ შემუშავებული შიდა დოკუმენტი.

პატივისცემით,